ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა

საერთაშორისო ბიზნესი

Ph. D in International Business

თბილისი 2009

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორი პროგრამა

სადოქტორო პროგრამის დასახელება საერთაშორისო ბიზნესი

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:

თეიმურ შენგელია – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის ხელმძღვანელი.

მინიჭებული აკადემიური ხარისხი - **ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი**
(Ph. D in Business Administration)

<u>პროგრამის მიზანი</u>

პროგრამის მიზანია „საერთაშორისო ბიზნესის” თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, ამ დარგში აშშ-ის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, მათი საფუძვლიანი ანალიზი და გამოყენება საქართველოს არსებულ რეალობაში. პროგრამის ათვისების პროცესში დიდ დატვირთვას იძენს ნოვატორული იდეების გენერაცია, კრეატიულობა, ახალი მიდგომების, იდეების შეფასება და მათი ანალიტიკური კვლევის უნარი. ეს მიზნობრივი ორიენტირები თავის ასახვას ჰპოვებენ დოქტორანტების მიერ განხორციელებულ მეცნიერულ კვლევებში, სემინარებში, პრეზენტაციებში. „საერთაშორისო ბიზნესის” მიმართულებით ფაკულტეტზე არსებობს სავარაუდო საკვლევი თემატიკა, რომლის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ თემის შერჩევა

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებო რეფორმის ფონზე განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სპეციალისტების მომზადება „საერთაშორისო ბიზნესის” დარგში. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს უნივერსიტეტები თავიანთ მსმენელებს 260-მდე სადოქტორო პროგრამებს სთავაზობენ ბიზნესის ადმინისტრირებაში, კონცენტრაციით „საერთაშორისო ბიზნესი”. მათი რაოდენობა სისტემატიურედ იზრდება, რაც მეტყველებს იმ კონკურენციულ გარემოზე, რომელიც ჩამოყალიბდა მსოფლიოში ბიზნეს-განათლების დარგში, სწავლების მესამე საფეხურს - დოქტურანტურის დონეზე. ამ ხასიათის საგანმანათლებლო რესურსზე მოთხოვნილება სისტემატიურად იზრდება. ბიზნესის ცნობილი საუნივერსიტეტო სკოლები დღეს განათლების სრულიად ახალ კონკურენციულ ბაზარზე გამოდიან. მსოფლიოში მიმდინარეობს სადანმანათლებლო კონსორციუმების ფორმირება, რასაც საფუძვლად უდევს ამ დარგში კორპორაციული პროგრამების ფორმირება. ამ კონტექსტში ქართული საგანმანათლებლო სივრცე უმწვავეს დეფიციტს განიცდის „საერთაშორისო ბიზნესის” დარგში ახალი, თანამედროვე, დროისა და გარემოების შესატყვისი სადოქტორო პროგრამების ფორმირების თვალსაზრისით.

„საერთაშორისო ბიზნესი” დისციპლინათაშორისო სფეროა, რომელიც ეფუძნება ისეთ მეცნიერულ დისციპლინებს, როგორიც არის: „მენეჯმენტი”, „მარკეტინგი”, „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა”, „ფინანსები”, „საბუღალტრო აღრიცხვა” და სხვა. ამ დარგში არსებული უახლესი მიღწევების გამოყენება ქმნის სწავლების ისეთ ერთიან სისტემას, როგორიც არის „საერთაშორისო ბიზნესი”. თანამედროვე „საერთაშორისო ბიზნესი” არის პრაგმატული, ის მკაცრად

მოტივირებულია, რადგანაც მას საფუძვლად უდევს საერთაშორისო ბიზნესის დარგში დროის მოთხოვნათა შესატყვისი სპეციალისტის მომზადება. ამდენად, დოქტორანტები იკვლევენ საერთაშორისო ბიზნესის დარგში უახლეს პრობლემატიკას, დაკავშირებულს საერთაშორისო ბიზნესში, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ეკაუტინგის, ფინანსების და სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან.

პროგრამის ანალოგები.

სადოქტორო პროგრამა „ საერთაშორისო ბიზნესი" წარმოდგენილია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ისეთებში, როგორიცაა:

- ვაშინგტონის უნივერსიტეტი
  http// www.gwu.edu / - International business / doctoral / fieldsindex.htm
- სვისის უნივერსიტეტი
  http// www.sbs.edu / programs / dba.asp.
- ჰიუსტონის უნივერსიტეტი
  http// www.bauer.uh.edu / International business / Ph.D / courses.htm

პროგრამის შედეგი.

ა) ცოდნა

„საერთაშორისო ბიზნესის" დარგში დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

– „საერთაშორისო ბიზნესისადმი "თანამედროვე თეორიული მიდგომები;

– სწავლების თანამედროვე მეთოდები;

– კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;

–„საერთაშორისო ბიზნესის" სისტემაში შემავალი საბაზო დისციპლინები: საერთაშორისო მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ბუღალტერია, ფინანსები.

– უნდა შეეძლოს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გაანალიზება და კომბანიაში მათი შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტური წინადადებების შეთავაზება.

ბ) უნარები

„ბიზნესის ადმინისტრირების" დარგში სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობაში კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენება;
- გუნდური პრინციპით მუშაობა რიგითი წევრისა და ლიდერის როლში, მიღებული ცოდნის ეფექტური გამოყენება, მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება და სრულყოფა;
- საერთაშორისო ბიზნესის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება და მისი დამუშავება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტა;
- უნდა ფლობდეს ბიზნესში მოქმედი კომპანიების საქმიანობის კვლევის მეთოდებს და გააჩნდეს ბიზნესის განვითარების პრობლემების გადაწყვეტის უნარი, ამ მიზნით მართვის ეფექტური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ინფორმაციის გაანალიზებისა და მისი შედეგების გამოყენების უნარი;
- საერთაშორისო ბაზრების რეგმენტაცია და მათი შესაძლებლობების გამოყენება ბიზნესის განვითარებისათვის;
- საერთაშორისო ბიზნესის დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

„საერთაშორისო ბიზნესის" დარგში სპეციალისტს უნდა შეეძლოს რეალურად შეაფასოს საერთაშორისო ბიზნესის ცალკეული სფეროების მდგომარეობა კვლევის უახლესი მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით, უზრუნველყოს ამ რგოლების სტრუქტურული და ფუნქციური სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება; სარესურსო ბაზის, ფირმებისა და ბაზრის ფუნქციონირების ერთიანობის პრობლემების გადაწყვეტა; სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელება საერთაშორისო ბიზნესის ცალკეულ სფეროებში.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები:

„საერთაშორისო ბიზნესის" დოქტურანტურა დამთავრებულს შეუძლია იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში ბიზნესის ნებისმიერ ორგანიზციულ - სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციებში, აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში, რომლებსაც სჭირდებათ ამ დარგში

პროფესიული ცოდნა. აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, სახელმწიფოს მმართველობით ორგანოებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

საერთაშორისო ბიზნესის ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ის მაძიებლები და ასპირანტები, რომლებსაც ე. წ. საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №215)

სამეცნიერო კვლევების მატერიალური-ტექნიკური ბაზა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კათედრებზე დისერტაციის პროფილის მიხედვით, თსუ-ს, ეროვნულ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში. ხელმისაწვდომია ფაკულტეტზე არსებული ინტერნეტის გამოყენება. კურსების შესწავლის პროცესში შესაძლებელია პროფესორების ინდივიდუალური კვლევების, პერსონალურ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ფონდის გაცნობა.

პროგრამის ხელმძღვანელის CV

თ ე ი მ უ რ ა ზ შ ე ნ გ ე ლ ი ა

1	**სახელი და გვარი**	შენგელია თეიმურაზი
2	**დაბადების თარიღი**	1960 წლის, 12 სექტემბერი

3	მისამართი	ნუცუბიძის 15, ბინა 15
4	ტელეფონები	(ბინა) 39-66-43, (მობ.) 895 90-47-57, (სამსახ.) 44-25-66
5	ელ. ფოსტა	shengelia.temur@gmail.com
6	განათლება	1982წ.–ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, მრეწველობის სპეციალობა (წარჩინებით). 1985წ. – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურა.(სპეციალობა: მრეწველობის ეკონომიკა). 1998წ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტურანტურა.
7	სამეცნიერო ხარისხი	1988წელი – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური კვლევების ისტიტუტი. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. სპეციალობა-სახალხო მეურნეობის და მისი დარგების ეკონომიკა. 1998წელი–საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. სპეციალობა-მაკროეკონომიკა. 1989 წელი – დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

		1999 წელი – პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.
8	სამართლებრივი გამოცდილება	1988-1993 წლები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. 1993-2005 წლები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი. 1993-2005 წლები ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ცენტრის ხელმძღვანელი. 1999-2005 წლები ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1990-1994 წლები ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე. 2005-დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი. 2005-დღემდე საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.
9	გამოქვეყნებული შრომები	80-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის 8 მონიგრაფია და 5 სახელმძღვანელო.
10	პრემიები, ჯილდოები	1998-2002 წლები საქართველოს პრეზიდენტის I ხარისხის სტიპენდიის ლაურეატი. 1996 წელი – დაჯილდოვებულია

		„ღირსების მედლით”.
11	**საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა**	1984–ურალის ტექნიკური უნივერსიტეტი. „მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები და თანამედროვეობა” 2007-პრაღის ეროვნული ბანკი „საბანკო რეფორმა ევროზონის ქვეყნებში”. 2007-ოდესის უნივერსიტეტი „ერთობლივი ეკონომიკური სისტემების, კანონზომიერებები და განვითარების მექანიზმი”. 2007-თბილისის უნივერსიტეტი „კორუფცია, გადასახადები და გარდამავალი ეკონომიკა”.
12	**სტაჟირება საზღვარგარეთ**	1992წ.–აშშ ნიუ-იორკის უნივერსიტეტი. 2007წ.–ავსტრიის ეროვნული ბანკი. 2008წ.–კოპენჰაგენის ბანკი. 2007წ.–პრაღის უნივერსიტეტი.
13	**სამეცნიერო ხელმძღვანელობა, რეცენზირება, ოპონირება**	საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 2 ასპირანტმა, აპრობაცია გაიარა 4 მაძიებელმა. ამჟამად დისერტაციაზე მუშაობს 2 ასპირანტი. 32 მაგისტრის ხელმძღვანელი. 1997-2007წწ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 64 სტუდენტმა მათ შორის: 7 საუნივერსიტეტო, 2 რესპუბლიკურ კონფერენციებში გამარჯვებული. 8 საკანდიდატო, 2 სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი.

14	**რედაქტორება, რედკოლეგიის წევრობა**	2 სახელძღვანელოს, 12 მონოგრაფიის რეცენზენტი,8 მონოგრაფიის რედაქტორი. ჟურნალების „ეკონომიკის", „ახალი ეკონომისტის", „ბიზნესი და კანონმდებლობა", „გადასახადებისა და საგადასახადო საქმის" რედკოლეგიის წევრი.
15	**სამეცნიერო აკადემიების საბჭოს და სადისერტაციო საბჭოების წევრობა**	1998წ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. 1999წ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. 2000-2005წწ. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების საბჭოს წევრი. 2003-2005წწ. ფინანსების ინსტიტუტის საბჭოს წევრი. 1993-2005წწ. სოხუმის უნივერსიტეტის საბჭოს წევრი. 2000-2005წწ. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2005-დღემდე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.
16	**საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობა**	1985-1922წწ. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოცაციის აღმასრულებელი მდივანი. 2003 - დღემდე არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის საბჭოს" გამგეობის თავჯდომარე.
17	**უცხოური ენების ცოდნა**	ინგლისური, რუსული, ქართული.
18	**კომპიუტერული**	Wordi, Exceli, Foto-Shop, Internet.

	პროგრამების ცოდნა	
19	**ოჯახური მდგომარეობა**	მეუღლე გელაშვილი მადონა-სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი შვილები ლევანი 16 წლის, გიორგი 20 წლის.